

**შპს გეოფუდი**

**ფინანსური ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბერი**

|                                    |           |
|------------------------------------|-----------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3         |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 4         |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  | 5         |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 6         |
| განმარტებითი შენიშვნები            | 7         |
| <b>ბოლო გვერდი</b>                 | <b>12</b> |

## შპს „გეოფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ათას ლარებში

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება            | შენიშვნა | 31-დეკ-18    | 01-იან-18    |
|-----------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |              |              |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |              |              |
| ფულადი სახსრები                               | 3        | 192          | 347          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 4        | 265          | 317          |
| გადახდილი ავანსები                            | 5        | -            | -            |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები             | 6        | 646          | 550          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>1,107</b> | <b>1,214</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |              |              |
| ძირითადი საშუალებები                          | 7        | 8            | 10           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>8</b>     | <b>10</b>    |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>1,115</b> | <b>1,224</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |          |              |              |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |              |              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 |          | 447          | 303          |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | -            | 41           |
| მიღებული ავანსები                             |          | -            | -            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულება                 | 8        | 151          | 546          |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>598</b>   | <b>890</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>598</b>   | <b>890</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |              |              |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 2            | 2            |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 515          | 332          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>517</b>   | <b>334</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>1,115</b> | <b>1,224</b> |

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

## შპს „გეოფუდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ათას ლარებში

|                                     | შენიშვნები | 2018       |
|-------------------------------------|------------|------------|
| ამონაგები                           | 9          | 4,029      |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 10         | (3,410)    |
| <b>საერთო მოგება</b>                |            | <b>619</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯი               | 11         | (226)      |
| საოპერაციო ხარჯები                  |            | (85)       |
| ნეტო კურსთა შორის სხვაობა           |            | (8)        |
| სხვა შემოსავალი                     |            | 2          |
| საპროცენტო ხარჯები                  |            | (45)       |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>           |            | <b>257</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი           |            | -          |
| <b>წმინდა ზარალი/მოგება</b>         |            | <b>257</b> |

ხელმომწერი პირი:

\_\_\_\_\_  
დირექტორი

შპს „გეოფუდი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ათას ლარებში

|                           | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---------------------------|--------------------|----------------------|--------------|
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | -                  | <b>334</b>           | <b>334</b>   |
| პერიოდის მოგება           | -                  | 257                  | <b>257</b>   |
| გაცემული დივიდენდი        | -                  | (74)                 | <b>(74)</b>  |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | -                  | <b>517</b>           | <b>517</b>   |

ხელმომწერი პირი:

\_\_\_\_\_  
დირექტორი

## შპს „გეოფუდი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი  
ათას ლარებში

|                                                           | 2018         |
|-----------------------------------------------------------|--------------|
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                 | 257          |
| კორექტირება                                               |              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                      | 3            |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>           |              |
| (ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                   | 52           |
| (ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში                           | -            |
| კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები            | (96)         |
| (ზრდა)/კლება გადასახდელ გადასახადებში                     | (45)         |
| ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                | 144          |
| (კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                | -            |
| <b>ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან</b> | <b>315</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>         |              |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                              | (1)          |
| <b>ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(1)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>            |              |
| სესხის აღება                                              | 45           |
| სესხის გადახდა                                            | (440)        |
| დივიდენდის გადახდა                                        | (74)         |
| <b>ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან</b>  | <b>(469)</b> |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>           | <b>(155)</b> |
| საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე                           | -            |
| ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში         | 347          |
| <b>ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>       | <b>192</b>   |

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

## 1. შესავალი

### *კომპანია და მისი საქმიანობა*

შპს „გეოფუდი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 223366541), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 3 ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. ახალქალაქი, მალხასიანის ქ., N10.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% სამველ გოგორიანი და 50% სამველ მანუკიანი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავ კომპანიის დირექტორი - სამველ გოგორიანი.

შპს „გეოფუდი“-ს საქმიანობას წარმოადგენს სასმელით და კვების პროდუქტებით ვაჭრობა.

### *წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა*

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|           | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|-----------|-----------|-----------|
| 1 USD/GEL | 2.6766    | 2.5922    |
| 1 EUR/GEL | 3.0701    | 3.1044    |

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

#### *შესაბამისობის პრინციპი*

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

#### *შეფასების საფუძველი*

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

#### *ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

#### *აქტივების გაუფასურება*

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

|                                      |        |
|--------------------------------------|--------|
| სატრანსპორტო საშუალებები             | 10-20% |
| ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი | 14-20% |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

### **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

### **მარაგები**

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

***ბანკის სესხები და ოვერდრაფტები***

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

***ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები***

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

### 3. ფულადი სახსრები

| ფულადი სახსრები              | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------|-------------------|-------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში  | 172               | 274               |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 20                | 72                |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში  | -                 | -                 |
| <b>სულ ფულადი სახსრები</b>   | <b>192</b>        | <b>347</b>        |

### 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 350               | 317               |
| უიმედო ვალების რეზერვი                | (85)              | -                 |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>265</b>        | <b>317</b>        |

### 5. გადახდილი ავანსები

| გადახდილი ავანსები            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|-------------------------------|-------------------|-------------------|
| გადახდილი ავანსები            | -                 | -                 |
| <b>სულ გადახდილი ავანსები</b> | <b>-</b>          | <b>-</b>          |

### 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

| სასაქონლო-მატერიალური მარაგები            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მზა პროდუქცია                             | 641               | 547               |
| სხვა მარაგები                             | 5                 | 3                 |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>646</b>        | <b>550</b>        |

### 7. ძირითადი საშუალებები

|                           | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის აღჭურვილობა | სულ       |
|---------------------------|-----------------------------|--------------------|-----------|
| <b>ღირებულება</b>         |                             |                    |           |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>  | <b>47</b>                   | <b>18</b>          | <b>65</b> |
| შეძენა                    | -                           | 1                  | 1         |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>  | <b>47</b>                   | <b>19</b>          | <b>66</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>    |                             |                    |           |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>  | <b>39</b>                   | <b>16</b>          | <b>55</b> |
| ცვეთა                     | 2                           | 1                  | 3         |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>  | <b>41</b>                   | <b>17</b>          | <b>58</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b> |                             |                    |           |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>  | <b>8</b>                    | <b>2</b>           | <b>10</b> |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>  | <b>6</b>                    | <b>2</b>           | <b>8</b>  |

## 8. სესხები

| მიმდინარე სასესხო ვალდებულება            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მიმდინარე სესხის ძირი თანხა              | 151               | 546               |
| <b>სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება</b> | <b>151</b>        | <b>546</b>        |

## 9. ამონაგები

|                                   |              |
|-----------------------------------|--------------|
| <b>ამონაგები</b>                  | <b>2018</b>  |
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან | 4,029        |
| <b>ამონაგები</b>                  | <b>4,029</b> |

## 10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                                                |              |
|------------------------------------------------|--------------|
| <b>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b>     | <b>2018</b>  |
| მზა პროდუქციის თვითღირებულება                  | 3,401        |
| სატრანსპორტო ხარჯი                             | 5            |
| აქციზური მარკების ღირებულება                   | 3            |
| <b>სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b> | <b>3,410</b> |

## 11. ადმინისტრაციული ხარჯები

|                                    |             |
|------------------------------------|-------------|
| <b>ადმინისტრაციული ხარჯები</b>     | <b>2018</b> |
| ხელფასის ხარჯი                     | 138         |
| ცვეთის ხარჯი                       | 3           |
| სხვა ხარჯი                         | 86          |
| <b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>226</b>  |

## 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

## 13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

|                                |             |
|--------------------------------|-------------|
| <b>მენეჯმენტის ხელფასი</b>     | <b>2018</b> |
| ხელფასი და სხვა სარგებელი      | 45          |
| <b>სულ მენეჯმენტის ხელფასი</b> | <b>41</b>   |

## 14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 1 ოქტომბერს.



შპს „გეოფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ათას ლარებში

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება     | შენიშვნა | 31-დეკ-18 | 01-იან-18 |
|----------------------------------------|----------|-----------|-----------|
| აქტივები                               |          |           |           |
| მიმდინარე აქტივები                     |          |           |           |
| ფულადი სახსრები                        | 3        | 192       | 347       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 4        | 265       | 317       |
| გადახდილი ავანსები                     | 5        | -         | -         |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები      | 6        | 646       | 550       |
| სულ მიმდინარე აქტივები                 |          | 1,107     | 1,214     |
| გრძელვადიანი აქტივები                  |          |           |           |
| ძირითადი საშუალებები                   | 7        | 8         | 10        |
| სულ გრძელვადიანი აქტივები              |          | 8         | 10        |
| სულ აქტივები                           |          | 1,115     | 1,224     |
| ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი     |          |           |           |
| მიმდინარე ვალდებულებები                |          |           |           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          |          | 447       | 303       |
| საგადასახადო ვალდებულებები             |          | -         | 41        |
| მიღებული ავანსები                      |          | -         | -         |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულება          | 8        | 151       | 546       |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები            |          | 598       | 890       |
| სულ ვალდებულებები                      |          | 598       | 890       |
| საკუთარი კაპიტალი                      |          |           |           |
| საწესდებო კაპიტალი                     |          | 2         | 2         |
| გაუნაწილებელი მოგება                   |          | 515       | 332       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                  |          | 517       | 334       |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი |          | 1,115     | 1,224     |

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



შპს „გეოფუდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

|                                     | შენიშვნები | 2018       |
|-------------------------------------|------------|------------|
| ამონაგები                           | 9          | 4,029      |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 10         | (3,410)    |
| <b>საერთო მოგება</b>                |            | <b>619</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯი               | 11         | (226)      |
| საოპერაციო ხარჯები                  |            | (85)       |
| ნეტო კურსთა შორის სხვაობა           |            | (8)        |
| სხვა შემოსავალი                     |            | 2          |
| საპროცენტო ხარჯები                  |            | (45)       |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>            |            | <b>257</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი           |            | -          |
| <b>წმინდა ზარალი/მოგება</b>         |            | <b>257</b> |

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



შპს „გეოფუდი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ათას ლარებში

|                    | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|--------------------|--------------------|----------------------|--------------|
| 31 დეკემბერი, 2017 | -                  | 334                  | 334          |
| პერიოდის მოგება    | -                  | 257                  | 257          |
| გაცემული დივიდენდი | -                  | (74)                 | (74)         |
| 31 დეკემბერი, 2018 | -                  | 517                  | 517          |

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



## შპს „გეოფუდი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი  
ათას ლარებში

|                                                    | 2018  |
|----------------------------------------------------|-------|
| მოგება დაბეგვრამდე                                 | 257   |
| კორექტირება                                        |       |
| ცვეთა და ამორტიზაცია                               | 3     |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან           |       |
| (ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 52    |
| (ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში                    | -     |
| კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები     | (96)  |
| (ზრდა)/კლება გადასახდელ გადასახადებში              | (45)  |
| ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 144   |
| (კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | -     |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან | 315   |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან         |       |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                       | (1)   |
| ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან | (1)   |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან            |       |
| სესხის აღება                                       | 45    |
| სესხის გადახდა                                     | (440) |
| დივიდენდის გადახდა                                 | (74)  |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან  | (469) |
| ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)           | (155) |
| საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე                    | -     |
| ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში  | 347   |
| ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს       | 192   |

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

